



დამატებითი მომსახურების
„საბონენტო გადასახდელის გადახდის გადავადება“ პირობები
(სამლარიანი ტარიფით)

1. ოპტიკური (GPON/P2P) ცალკე მდგომი მომსახურებების, კერძოდ, ინტერნეტ და/ან სილქ ტვ მომსახურებების, ასევე ორმაგი, სამმაგი, ს1 სამმაგი და ოთხმაგი შეთავაზებების მიმღები თბილისის ფიზიკური პირი აბონენტები (რომლებსაც დავალიანების გადაუხდელობის გამო მომსახურება შეეზღუდათ 2018 წლის 10 იანვარს ან შეეზღუდათ 10 იანვრის შემდეგ) შეძლებენ ისარგებლონ დამატებითი მომსახურებით - „საბონენტო გადასახდელის გადახდის გადავადება“ (შემდგომში „გადახდის გადავადება“), რომლის ფარგლებშიც, მათ ეძლევათ შესაძლებლობა, გადაავადონ საბონენტო გადასახდელის გადახდა, აღნიშნული დამატებითი მომსახურების ღირებულების წინასწარ, ერთჯერადად გადახდის პირობით.
2. აბონენტს „გადახდის გადავადების“ მომსახურების გააქტიურება შეუძლია საბონენტო გადასახდელის დაანგარიშებისა და სმს შეტყობინებით კოდის მიღების შემდეგ: ა) საბონენტო გადასახდელის გადახდის თარიღამდე ან ბ) გადახდის თარიღის დადგომის (მომსახურებების შეზღუდვის) შემდგომ - **მომდევნო გადახდის თარიღამდე ვადით** (ამ უკანასკნელ შემთხვევაში მოხდება შეზღუდული მომსახურების/ ების აღდგენა).
3. „გადახდის გადავადების“ მომსახურების გააქტიურება შესაძლებელია Nova Paybox მომენტალური გადახდის აპარატის მეშვეობით, აბონენტისთვის სმს შეტყობინების სახით გაგზავნილი აქტივაციის კოდის საშუალებით. **1 (ერთი) თვის საბონენტო გადასახდელის გადახდის ერთ თვემდე ვადით გადავადების ღირებულება განისაზღვრება 3 (სამი) ლარის ოდენობით.**
4. **აქტივაციის კოდის მოქმედების ვადა არის 20 (ოცი) კალენდარული დღე.**
5. „გადახდის გადავადების“ მომსახურების გააქტიურების შესაბამისი თვის მომდევნო თვის საბონენტო დავალიანების დაანგარიშების შემდეგ, საბონენტო ანგარიშის მიმდინარე ბალანსზე აბონენტს დავალიანება გამოუჩნდება ჯამურად: გადავადებულ დავალიანებას დამატებული მიმდინარე („გადახდის გადავადების“ მომსახურების გააქტიურების თვის მომდევნო თვის შესაბამისი) დავალიანება.
6. „გადახდის გადავადების“ მომსახურების გააქტიურების შესაბამისი თვის მომდევნო თვის საბონენტო დავალიანების დაანგარიშების შემდეგ, აბონენტმა სრულად უნდა დაფაროს, როგორც გადავადებული დავალიანება, ისე საანგარიშო თვის დავალიანებაც.
7. იმისათვის, რომ აბონენტმა ისარგებლოს „გადახდის გადავადების“ მომსახურებით, უნდა განახორციელოს: Nova Paybox გადახდის აპარატში სმს შეტყობინებით მიღებული კოდის აკრეფა და გადავადების მომსახურების ღირებულების გადახდა - **ზუსტი ოდენობით** (სმს კოდის არასწორად აკრეფის შემთხვევაში, აბონენტი სმს შეტყობინებით მიიღებს კოდს).
8. Nova Paybox გადახდის აპარატში „გადახდის გადავადების“ მომსახურების ღირებულებაზე ნაკლები თანხის შეტანის შემთხვევაში, არ მოხდება „გადახდის გადავადების“ მომსახურების გააქტიურება და ასეთ დროს შეტანილი თანხა აისახება აბონენტის საბონენტო ანგარიშის მიმდინარე ბალანსზე (მოხდება დავალიანების შეტანილი თანხის პროპორციულად შემცირება).
9. Nova Paybox გადახდის აპარატში დავალიანების სრული ღირებულების ტოლი ან მეტი თანხის შეტანის შემთხვევაში, არ მოხდება „გადახდის გადავადების“ მომსახურების გააქტიურება და ასეთ დროს შეტანილი თანხით სრულად დაიფარება მიმდინარე საბონენტო დავალიანება.